დამტკიცებულია შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

შემაჯამებელი გამოცდის ჩატარების წესი

თბილისი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში შემაჯამებელი გამოცდის (ქვიზის) ჩატარების წესს და მისი მიზანია ამ პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
2. უნივერსიტეტის მიზანია ყველა სტუდენტის აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი ცოდნის პროგრესირება თითოეული სასწავლო მოდულის მსვლელობისას.
3. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მიზანს წარმოადგენს, როგორც სტუდენტის ფაქტობრივი ცოდნის, ასევე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარის შემოწმება.
4. სასწავლო მოდულის განმავლობაში მიღწეული პროგრესის შემოწმების ფორმას (მოდულის დასკვნითი შეფასების სახით) უნივერსიტეტში წარმოადგენს ქვიზი.
5. საბაზისო და კლინიკური სასწავლო მოდულების ცოდნის შემაჯამებელი შეფასების ფორმას წარმოადგენს შემაჯამებელი გამოცდა.

მუხლი 2. ქვიზი/შემაჯამებელი გამოცდა და მისი ჩატარების წესები

1. ქვიზი/შემაჯამებელი გამოცდა ტარდება, სასწავლო დეპარტამენტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ, ცხრილში მითითებულ დღეს, მშვიდ და წყნარ გარემოში; უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ და სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ აუდიტორიაში.
2. ქვიზი/შემაჯამებელი გამოცდა იწყება დადგენილდროს;
3. ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე სტუდენტი უნდა გამოცხადდეს დანიშნულ დროზე 20 წუთით ადრე.
4. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის დაწყებამდე სწავლებისა და შეფასების კომპიუტერული ცენტრის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელის თანაშემწე ახდენს გამოცხადებული სტუდენტების იდენტიფიცირებას, გამოუცხადებელი სტუდენტების აღრიცხვას.
5. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის დაწყების შემდეგ გამოცხადებული სტუდენტი ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე არ დაიშვება.
6. სტუდენტი ვალდებულია წინა დღით გაარკვიოს დეკანატში არის თუ არა დაშვებული ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე, რა დგან ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის დაწყების წინ პრეტენზიები არ მიიღება;
7. ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე დაშვებული სტუდენტები იკავებენ წინასწარ მათთვის განკუთვნილ ადგილს კომპიუტერებთან, რომელშიც ჩატვირთულია ტესტი. სტუდენტს არ აქვს ადგილის შეცვლის უფლება, გარდა რაიმე სახის ტექნიკური ხასიათის პრობლემის აღმოჩენისა.
8. სტუდენტს პირველი სემესტრის პირველ ქვიზზე გადაეცამა შეფასების ცენტრის მიერ მისთვის მინიჭებული ინდივიდუალური კოდი, რომელიც უფლებას აძლევს მუშაობა დაიწყოს ტესტზე. ინდივიდუალური კოდი მოქმედებს სტუდენტის სტატუსის ხანგრძლივობის ვადით და იგი კონფიდენციალურია.
9. ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე სამუშაოდ გამოყოფილი დროის გასვლის შემდეგ ტესტი იხურება ავტომატურად და შედეგები ინახება პროგრამაში. ამასთან, სტუდენტის მიერ ქვიზისათვის განსაზღვრულ დროზე ადრე მუშაობის დასრულების შემთხვევაში იგი ვალდებულია დახუროს პროგრამა და დაუყოვნებლივ დატოვოს აუდიტორია.
10. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის დადგენილი წესების შესაბამისად ჩატარებას უზრუნველყოფენ სასწავლო დეპარტამენტის ინსპექტორები, რომლებიც ესწრებიან ქვიზს/შემაჯამებელ გამოცდას დაწყებიდან დასრულებამდე.

11. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მსვლელობისას ასევე მიმდინარეობს ვიდეოგადაღება, რომლის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებულნი არიან გამაფრთხილებელი ნიშნებით.

მუხლი 3. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მსვლელობისას სტუდენტის ქცევის წესები:

სტუდენტს უფლება არ აქვს:

1. ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე შეიტანოს მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი, ხელნაწერები, წიგნები, ჩანთები და სხვა პირადი ნივთები (ზემოაღნიშნულ ნივთებს ქვიზის დაწყების წინ სტუდენტი ალაგებს სპეციალურად განსაზღვრულ ადგილზე, ქვიზის დასრულებამდე) - ასეთის აღმოჩენა გამოიწვევს სტუდენტის ქვიზიდან/შემაჯამებელი გამოცდიდან მოხსნას ან დასრულების შემთხვევაში შედეგების ანულირებას;
2. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის ოთახიდან გასვლის (გარდა, განსაკუთრებული შემთხვევებისა მხოლოდ ინსპექტორის ნებართვით) - აღნიშნული დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება ქვიზიდან/შემაჯამებელი გამოცდიდან და შედეგი ანულირდება;
3. ინსპექტორის მიერ მაგიდასთან წინასწარ მითითებული ადგილის შეცვლის (სხვა მაგიდასთან/კომპიუტერთან გადაჯდომა)- რისთვისაც სტუდენტს არ მიეცემა ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის დასრულების უფლება და ნამუშევრის შედეგები ანულირდება;
4. სხვა სტუდენტებთან გადალაპარაკების, შეკითხვების დასმის, აზრის გაზიარების, სხვა სტუდენტის კომპიუტერში გადახედვის, ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე რაიმე ნივთის ან/და ნებისმიერი ნაწერის სხვისთვის გადაწოდების - რისთვისაც სტუდენტს მიეცემა გაფრთხილება ან არ მიეცემა ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის დასრულების უფლება და ნამუშევრის შედეგები ანულირდება;
5. ადგილიდან წამოძახილი ან საუბარი საკუთარ თავთან -რისთვისაც სტუდენტს მიეცემა გაფრთხილება ან არ მიეცემა ტესტზე მუშაობის დასრულების უფლება და ნამუშევარი ანულირდება;
6. ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე გამოცხადდეს ქუდით/თავსაბურავით (რელიგიური მიმდევრობის ან/და ეთნიკური წარმოშობის განთვალისწინებით შესაძლოა დაშვებული იქნას გამონაკლისი), ყურსასმენებით, ან რაიმე აკრძალული ტექნიკური საშუალებებით -თუ სტუდენტი უარს აცხადებს აკრძალული აქსესუარების ინსპექტორის მიერ მითითებულ ადგილას განთავსებაზე იგი არ დაიშვება ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე.
7. ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე გამოცხადდეს არაფხიზელ მდგომარეობაში - სტუდენტი არ იქნება დაშვებული ქვიზზე.
8. არ დაემორჩილოს ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე დამსწრე ინსპექტორის ან/და ცენტრის წარმომადგენლის მითითებებს, შეეპასუხოს ან მიაყენოს მათ სიტყვიერი შეურაწყოფა - სტუდენტს მიეცემა გაფრთხილება ან/და არ მიეცემა ტესტზე მუშაობის დასრულების უფლება, დასრულების შემთხვევაში ნამუშევარი ანულირდება.
9. ნებისმიერი სხვა ქმედების განხორციელების, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს დაუმსახურებელი და არაობიექტური შეფასების მიღების საფუძვლად, სხვისთვის ხელისშეშლად ან/და შეცდომაში შეყვანად - ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით ინსპექტორს უფლება აქვს მისცეს სტუდენტს გაფრთხილება ან/და დაატოვებინოს სტუდენტს ქვიზი/შემაჯამებელი გამოცდა და ნამუშევარი ანულირდება.

მუხლი 4. ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე გამოვლენილი დარღვევების ასახვა

1. წინამდებარე წესის მე-3 პუნქტში მითითებული ქცევის წესების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ივსება „ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მსვლელობისას გამოვლენილი დარღვევების შესახებ ოქმი“, რომელშიც შეიტანება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის თარიღი,
- დამსწრე ინსპექტორების მონაცემები,
- ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მსვლელობისას გამოვლენილი დარღვევის შინაარსი, დარღვევის გამოვლენის დროის მითითებით,
- დამრღვევი სტუდენტის მონაცემები,
- ინსპექტორის/ცენტრის წარმომადგენლის მიერ გამოყენებული ღონისძიების შინაარსი;

2. ოქმი ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის დასრულების შემდეგ გადაეცმა სწავლებისა და შეფასების კომპიუტერულ ცენტრს, რომელზეც უნდა დაისვას ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა, დამსწრე ინსპექტორების ხელმოწერა და სახდელ დადებული სტუდენტის ხელმოწერა. სტუდენტის მიერ ხელმოწერის დაუფიქსირებლობა ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება ოქმის შინაარსს და არ გააჩნია მასთან პრეტენზიები.
3. სახდელის გამოყენების შესახებ ოქმს შესაძლოა დამატებითი მტკიცებულების სახით დაერთოს ვიდეოკამერის იმ დროის მონაკვეთის ჩანაწერი, როცა ინსპექტორის მიერ გამოვლინდა დარღვევა.
4. ვიდეომეთვალყურეობისსისტემის მიერ დაფიქსირებული დარღვევა, რომლის დაფიქსირება ვერ შეძლო ინსპექტორმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება უტყუარ მტკიცებულებად თუ მასზე ნათლადაა დაფიქსირებული ქვიზზე მოქცევის წესების დარღვევა (მაგ: ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების, ინდივიდუალური კომპიუტერის შეცვლის, რაიმე წერილობითი მასალის გამოყენების ფაქტი, სხვის კომპიუტერში გადახედვა და სხვა) და ქმედებები ერთნაირად აღიქმება სხვადასხვა პირების მიერ.
5. ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ჩანაწერის დამუშავებისა და შესწავლის უფლება აქვს სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავალებით ან საკუთარი ინიციატივით და ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
6. სასწავლო დეპარტამენტის ან/და ცენტრის ინიციატივით ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მსვლელობისას საეჭვო გარემოებების გამოვლენის მიზნით ვიდეო ჩანაწერი შესაძლოა შესწავლილი იქნას შედეგების გამოქვეყნებამდე. შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გამოვლენილი გარემოებები გავლენას ვერ იქონიებს სტუდენტის შედეგებზე.

მუხლი 5. ინსპექტორების უფლება-მოვალეობები

1. ინსპექტორი ვალდებულია უზრუნველყოს ქვიზის/შემაჯემებელი გამოცდის მსვლელობისას წესრიგისა და დადგენილი წესების დაცვა;
2. შეავსოს ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მსვლელობისას გამოვლენილი დარღვევების შესახებ ოქმი და შეიტანოს მასში ყველა საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია;
3. ყველა სტუდენტის მიმართ გამოიჩინოს ერთნაირი ყურადღება და გულისხმიერება;
4. არ დაეხმაროს სტუდენტს ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის ტესტების სწორი პასუხების მისადაგებაში;
5. უფლებამოსილია გამოიყენოს სტუდენტების მიმართ გამოვლენილი დარღვევების შესაბამისი სახდელები - გაფრთხილება ან/და დაატოვებინოს სტუდენტს ქვიზი/შემაჯამებელი გამოცდა;
6. უფლებამოსილია გაეცნოს ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მსვლელობისას ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებულ ჩანაწერს; საეჭვოობის შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადასცეს სასწავლო დეპარტამენტს.
7. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის დასრულებისთანავე წარუდგინოს ცენტრის ხელმძღვანელს ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე გამოვლენილი დარღვევების შესახებ შევსებული დახელმოწერილი ოქმი (ასეთის არსებობისშემთხვევაში).

მუხლი 6. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის შედეგები

1. ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე შესრულებული ტესტის შეფასება ხორციელდება სწავლებისა და შეფასების კომპიუტერული ცენტრის მიერ;
2. ცენტრის მიერ ნაშრომების შეფასება და მათი სტუდენტზე მიწოდება ხორციელდება არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა (ქვიზში ჩავარდნილი საგნების ან/და მომდევნო ქვიზის გადაბარების თარიღის შესაბამისად შეფასების გამოქვეყნების ვადა შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს არანაკლებ ერთი სამუშაო დღისა და არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა);
3. ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის შედეგები ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გადაეცმა კურსის კოორდინატორს;
4. შედეგების გაცნობა სტუდენტებს შეუძლიათ კურსის კოორდინატორთან ან/და პირად ელექტრონულ გვერდზე.
5. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს აქვს პრეტენზია შეფასებასთან ან/და ქვიზზე/შემაჯამებელ გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევის გამო მიღებულ სანქციებთან დაკავშირებით, იგი ვალდებულია მიმართოს წერილობითი განცხადებით სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში და მიუთითოს კონკრეტულ დარღვევაზე, ტესტზე ან/და ტესტებზე, რომელშიც მიღებულ შეფასებას ან/და თავად ტესტის შინაარსის პასუხთან (ან/და პირიქით) შესაბამისობას არ ეთანხმება.
6. მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში ვიცე-რექტორი გამოითხოვს ქვიზის/შემაჯამებელი გამოცდის მსვლელობისას დარღვევის გამოვლენის შესახებ ოქმს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ჩანაწერს შესაბამისი დეპარტამენტისაგან ან/და ნაშრომს ცენტრისაგან და მიიღებს გადაწყვეტილებას შედეგების შეცვლის ან/და ძალაში დატოვების შესახებ (განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, ისე, რომ არ იქნას დარღვეული სტუდენტის უფლება გამოცდის გადაბარების ან/და სხვა გამოცდაზე დაშვებასთან მიმართებით).
7. მე-5 პუნქტის იმ ნაწილთან მიმართებაში როცა სტუდენტს პრეტენზია აქვს ტესტის შინაარსთან, ტესტის პასუხთან და/ან შესაბამისობასთან დაკავშირებით ვიცე-რექტორი კურსის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შედეგების შეცვლის და/ან ძალაში დატოვების შესახებ(განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, ისე, რომ არ იქნას დარღვეული სტუდენტის უფლება გამოცდის გადაბარების ან/და სხვა გამოცდაზე დაშვებასთან მიმართებით).
8. ქვიზის შედეგების შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით.